



სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

თბილისი

30 აგვისტო 2021 წელი

ბრძანება № 140-21

2021-2022 სასწავლო წელზე რეგისტრაციის ვადების შესახებ

უნივერსიტეტის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის 5.3 ქვეპუნქტით რექტორისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (დებულება განახლებული რედაქციით დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ, 2021 წლის 05 აპრილის №03-21 საოქმო გადაწყვეტილებით)

ვბრძანებ:

- 2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტთა 2021-2022 სასწავლო წელზე რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2021 წლის 06 სექტემბერი 2021 წლის 16 სექტემბერი.
- რეგისტრაცია განხორციელდეს შემდეგი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე:
 - ა) განცხადება რექტორის სახელზე;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი დედნის წარმოდგენით;
 - გ) 2 ნაბეჭდი ფოტოსურათი ზომით 3x4 და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია (CD/DVD დისკზე);
 - დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დედანი და ასლი;
 - ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა);

ვ) შევსებული სპეციალური ანკეტა (აბიტურიენტებს შეუძლიათ მიიღონ ანკეტის ფორმა უნივერსიტეტში)

ზ) სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს აბიტურიენტი მიიღებს უნივერსიტეტში);

თ) განათლების მომსახურების ხელმოწერილი ხელშეკრულება (ხელშეკრულების შაბლონს აბიტურიენტი მიიღებს უნივერსიტეტში. თუ აბიტურიენტი არასრულწლოვანია, მასთან ერთად ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი).

შენიშვნა: 2021-2022 სასწავლო წელს, პირველი და მეორე შემოხაზვებით, ასევე თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს არ მოეთხოვება სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

- აბიტურიენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს მისამართზე თბილისი, კ. ქუთათელაძის ქ. №3, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით შემდეგ საათებში: ორშაბათი - პარასკევი 10:00 საათიდან 18:00 საათის ჩათვლით, შაბათი 10:00 საათიდან 15:00 საათის ჩათვლით.
- დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების მენეჯერს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა და უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება (ც.ხითარიშვილი);
- დაევალოს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.sabauni.edu.ge) განთავსება;
- ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

რექტორი, პროფესორი



ვაჟა ვარდიძე